პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 18 დეკემბერი, 1949 წ. № 249 (8552). ფასი 20 კაპ.

ახალი წარმატებებისათვის

მილიონობით ადამიანის განუსაზღვრელი სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით არის გარემოსილი დიდი სტალინის სახელი. მას, ჩვენს გენიალურ ბელადსა და ბრძენ მასწავლებელს უმადლის საბჭოთა ხალხი თავის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, თავის სასიხარულო აწმყოსა და უფრო ბედნიერ მომავალს. მის სახელთან განუყოფელად არის დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, სრული კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობა. დიდი სტალინი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების გენიალური გეგმის შემოქმედია, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, ხოლო ინდუსტრიალიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის გადაქცევა აგრარულიდან მძლავრ ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობისა და კოლექტიური სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

საბჭოთა ხალხმა ოთხი-ხუთი წელიწადი მოანდომა უცხოელი იმპერიალისტების ინტერვენციითა და სამოქალაქო ომებით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას. აღდგენითი პერიოდის დამთავრების შემდეგ პარტიის წინაშე, საბჭოთა მთავრობის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის, სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანა.

ოცდაოთხი წლის წინათ, 1925 წლის 18 დეკემბერს გაიხსნა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც ინდუსტრიალიზაციის ყრილობა. ამ ყრილობაზე დიდმა სტალინმა დახატა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამეურნეო ძლიერების ზრდის მკაფიო სურათი. პარტიის წინაშე, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — მთელი სიგრძე-სიგანით დგას საკითხი ჩვენი ქვეყნის გადაქცევისა ინდუსტრიულ ქვეყნად, კაპიტალისტური ქვეყნებისაგან ეკონომიურად დამოუკიდებელ ქვეყნად. ეს შესაძლებელია გაკეთდეს და უნდა გაკეთდეს კიდეც. პარტიის ცენტრალურ ამოცანად ხდება ბრძოლა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, ბრძოლა სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა გენიალური შორსმჭვრეტელობით განსაზღვრა და თეორიულად დაასაბუთა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გეზი, დასახა ომამდელი ხუთწლიანი გეგმების საფუძვლები და დარაზმა ჩვენი ხალხი მათი განხორციელებისათვის.

ოცდაოთხი წელიწადი გავიდა პარტიის XIV ყრილობის მოწვევის დღიდან და ისტორიისათვის ამ მოკლე პერიოდის მანძილზე რა გრანდიოზული გამარჯვებები მოიპოვა საბჭოთა ხალხმა, რომელმაც ააშენა სოციალიზმი და მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმისაკენ.

ომამდელი სტალინური ხუთწლედების წლებში საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით შექმნა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი პირველხარისხოვანი სოციალისტური მრეწველობა. ამხანაგმა სტალინმა დაუსახა საბჭოთა ხალხს სოციალისტური დაგროვების წყაროების ყოველდღიური ზრდის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზა, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სახსრების გამონახვა, ჩვენი საშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სტალინურ გეგმებში მუდამ განსაკუთრებული ადგილი ეკავა მოკავშირე რესპუბლიკების სწრაფი ინდუსტრიალიზაციის ამოცანებს. მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაშიც მრეწველობის განვითარების ტემპი გაცილებით უფრო მაღალი იყო. ეს იმიტომ, რომ ეს რესპუბლიკები, როგორც ყოფილი თვითმპყრობელური რუსეთის განაპირა კუთხეები, სამრეწველო განვითარების მხრივ გაცილებით უფრო ჩამორჩენილი იყვნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაიქცა. ომამდელ სტალინურ ხუთწლედებში ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა და განვითარდა მძიმე მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის დაზგათმშენებლობა და მანქანათმშენებლობა, ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობა, განხორციელდა მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქცია, ახლად შეიქმნა საფეიქრო და კვების მრეწველობა, გაფართოვდა და აშენდა ადგილობრივი და საშენი მასალების მრეწველობის მრავალი საწარმო, მწყობრში ჩადგა რამდენიმე მძლავრი ჰიდრო და თბოელექტროსადგური. თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა, სტალინის სახელობის ბათუმის ნავთგადამამუშავებელი და კასპის ცემენტის ქარხნები, თბილისის მაუდ-კამვოლის, აბრეშუმსაქსოვი და ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკები, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, აგარის შაქრის ქარხანა, ქუთაისის აბრეშუმკომბინატი და ათობით სხვა მსხვილი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საწარმო სტალინური ხუთწლედების პირმშონი არიან.

აი ამ ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებსა და მაღაროებში საბჭოთა ადამიანები, საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღზრდილ მაღალკვალიფიციურ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალრიცხოვანი კადრები ამზადებენ რთულ დაზგებსა და მანქანებს, ფეროშენადნობებსა და საშენ მასალას, ქსოვენ პირველხარისხოვანი აბრეშუმისა და შალის ქსოვილებს, იღებენ ქვანახშირსა და მარგანეცს, მოსახლეობას აწვდიან მაღალხარისხოვან კვების პროდუქტებს. ათობით ფაბრიკა და ქარხანა უწევს მომსახურებას საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოყვანილი ჩაის მწვანე ფოთლისა და ყურძნის გადამუშავებას.

განსაკუთრებით განვითარდა საქართველოში მძიმე ინდუსტრია. რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციაში წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონა ჯერ კიდევ 1940 წელს 40,4 პროცენტს უდრიდა, ხოლო 1947 წელს 48 პროცენტამდე გაიზარდა. მძიმე მრეწველობის განვითარების მხრივ კიდევ უფრო დამახასიათებელია ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი. შენდება რუსთავის მეტალურგიული და ჟუთაისის საავტომობილო გიგანტები; ომამდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდება ქვანახშირის ამოღება; მკვეთრად გაიზრდება მარგანეცის მოპოვება, ნავთის წარმოება, რეკონსტრუქციისა და საწარმოო ფართობების უკეთ გამოყენების საფუძველზე ჩვენი დაზგათმშენებელი და მანქანათმშენებელი ქარხნები გაცილებით მეტს გამოუშვებენ დაზგებსა და მანქანებს; საქართველოს ენერგოსისტემას შეემატება ახალი სიმძლავრენი; რკინიგზის ტრანსპორტი აღიჭურვება უფრო მძლავრი ლოკომოტივებით, ავტომფრტაბელური სამგზავრო ვაგონებით.

ყველა ამ წარმატებას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უმადლიან ლენინ-სტალინის პარტიას, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითა და წინამძღოლობით ქართველმა ხალხმა მოიშორა მონობისა და ჩაგვრის უღელი, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებთან ერთად განახორციელა სოციალიზმი და მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის ნათელი გზით.

ამიტომ არის, რომ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ამ დღეებში საქართველოს მშრომელები განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და დარაზმულობით, უდიდესი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავენ საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავს. ყველა საწარმოში, შახტებსა და მაღაროებში, ნავთსარეწებში და მშენებლობებზე, ტრანსპორტზე და ელექტროსადგურებში მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ იმისათვის, რომ მოიპოვონ ახალი წარმატებანი ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, გამოუშვან მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია, საექსპლოატაციოდ გადასცენ ახალი საწარმოო კორპუსები, საცხოვრებელი ბინები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი, სასახელო საწარმოო საჩუქრებით შეხვდნენ დიად საიუბილეო თარიღს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად მტკიცედ მიდიან წინ, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმა

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმა 101,5 პროცენტით, რძისა — 100,3 პროცენტით, კვერცხისა—104,2 პროცენტით, მატყლისა—130,0 პროცენტით, მსხვილფეხა პირუტყვის ტყავისა—133 პროცენტით, წვრილფეხა პირუტყვის ტყავისა—100,3 პროცენტით და თივისა — 117 პროცენტით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ჩაბარებულ ... ...

ბიბლიოთეკა

სტალინური ისტორიული ადგილები

იქ, სადაც დაიწყო დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა

კიდით-კიდემდე გაისმის სიმღერა თვალუწვდენი საბჭოთა ქვეყნის სივრცეებზე. ყინულოვანი არქტიკიდან კოლხეთის წარმტაც ველებამდე, და კარპატებიდან წყნარი ოკეანის სანაპიროებამდე გუგუნებს თავისუფლების, შეძლებული ცხოვრების, სამშობლოს ბედნიერების დიადი ჰიმნი.

საბჭოთა ქვეყანა უმღერის დიდ სტალინს — მაცოცხლებელ მზეს, რომელიც გვინათებს და გვათბობს დღისითაც და ღამითაც, ზამთარშიც და ზაფხულშიც.

სტალინს უმღერის საბჭოთა ხალხი — საკოლმეურნეო ყანის მხვნელ-მთესველი, სოციალისტური ინდუსტრიის მუშა-სტახანოველი, ინჟინერ-ტექნიკოსი და ახლის მაძიებელი კონსტრუქტორი, გზის გამყვანი და სახლის მშენებელი, ავტომანქანის მძღოლი და სამეცნიერო კათედრის ხელმძღვანელი, ლითონის დამყალიბებელი და ხელოვანი, მასწავლებელი და მწერალი...

მას — ყველაზე მახლობელს, ძვირფასს, ყველაზე საყვარელს, მამას და მასწავლებელს, ბრძენ ბელადს დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას უსურვებენ მთელი მსოფლიოს მშრომელნი.

ასეთი იყო წინათ თბილისი

„თბილისში სულ 20 ათასამდე სამრეწველო მუშაა, ე. ი. ნაკლები, ვიდრე ჯარისკაცები და პოლიციელები. ერთადერთი დიდი საწარმოა რკინიგზის სახელოსნოები (3.500-მდე მუშა). დანარჩენ საწარმოებში თითოში 200, 100, მეტწილად კი 40-20 კაცია. სამაგიეროდ თბილისი პირდაპირ სავსეა სავაჭრო დაწესებულებებით და მათთან დაკავშირებული „სავაჭრო პროლეტარიატით“. რუსეთის ბუდამ ცოცხალი და მოუსვენარი დიდი ბაზრებისაგან სუსტი დამოკიდებულება თბილისს უმოძრაობის დაღს ასვამს...“.

ასე წერდა დიდი სტალინი 1910 წელს თბილისის შესახებ.

ვაგზლის ძველი, მიწაზე გართხმული შენობა, მის წინ ქალაქის მხრისაკენ სამიკიტნოები და სახაშეები, იქვე მუშტრის მომლოდინე ეტლების წყება მთვლემარე მეეტლეებით, რიყის ქვით მოკირწყლულ ფილაქანზე „დროგების“ რახრახი, სადგურის ბაქნის მხრიდან — ორთქლმავალთა კანტი-კუნტი კივილი, ქუჩებში „წესრიგის“ მცველი „გოროდოვოები“,—აი ძველი თბილისის სურათი.

სადგურის ქუჩის შემდეგ მიხეილის პროსპექტზე ვიწრო გასასვლელი, პროსპექტზე რიყის ქვაფენილი, ვიწრო ტროტუარები, ტრამვაის წყვილი ვიწროლიანდაგიანი ხაზი; მაღაზიები, რესტორანები და მდიდართა ჯიბისთვის გაანგარიშებული ოტელები „ტიოლი“, „ტრიო“, „ვეტცელი“ და სხვა ამგვარი უცხო სახელთა მატარებელი ჯურღმულები, სადაც ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგნად იყო გადაქცეული; ყველგან პოლიციელები, ყველგან „ოხრანკის“ თვალი, ჩაიხანები, ლუდხანები მდაბიოთათვის, ეფვანიანი ეტლები — მოქეიფე თავად-აზნაურებისათვის, სასახლეები, ძვირფასი შენობები და ვერცხლით მოჭედილი „დროქკები“ — მდიდრებისათვის, კაპიტალისტებისათვის,—აი ძველი თბილისის სურათი.

ნაძალადევში აქა-იქ ჩანდა მუშათა საცხოვრებელი ქოხმახები, საბურთალოდან ორიოდე შენობა აჭყეტდა თვალს, ნავთლუღში შავსოფლიდან წვეა კვამლი ეფინებოდა მინდორს; შუაბაზრის ხორხოცი შორიდანაც იგრძნობოდა, კინტოები თავზე გობებით, განიერი შარვლებით და ძირს დაწეული ვერცხლის ქამრებით, უხამსი სიტყვა-პასუხით სახელმოხვეჭილნი, — ასეთი იყო ძველი თბილისი.

კომკავშირული ხეივნიდან

დიდი ხანია ის თბილისი აღარ არსებობს. კომკავშირული ხეივნის სიმაღლიდან გადაჰყურებს საბჭოთა ადამიანი საქართველოს დედაქალაქის ვრცელ პანორამას. მზის სხივებმა ააცისკროვნეს ქალაქის ხედი, შუქით მოქარგეს ბაღები, ხეივნიანი პროსპექტები და გულღიად გაშლილი მოედნები. ფუნიკულორის წვერზე ბროლის კოშკივით აღმართულა ძვირფასი, ულამაზესი შენობა და მისი სილუეტი თავს დასდგომია მთაწმინდის პანთეონს, როგორც განახლების სიმბოლო.

ახალი დროება, ახალი სამართლიანი და შემოქმედებითი შრომით აღსავსე ცხოვრების მჩქეფარება იგრძნობა ყველგან და თითქოს ამის შესახებ ბუტბუტებს სიამით მტკვარი, ამას მეტყველებს თბილისში ფართოდ გაშლილი საქალაქო მშენებლობა, განახლებული და გამშვენიერებული ჩვენი დედაქალაქის ყოველი უბანი, ყოველი ქუჩა.

კომკავშირული ხეივნიდან, ძველი სეიდაბადიდან, სადაც რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე მრავალჯერ შეკრებილან მოწინავე თბილისელი მუშები მომავალ დიად ბრძოლათათვის მოსამზადებლად, მთელი ქალაქი ჩანს, როგორც ხელისგულზე. გაღმა, ძველ ისანში, ახლანდელ 26 კომისრის სახელობის რაიონში, ათიოდე წლის წინათ გაშენებული დიდი ბაღი დავაქაცებულა, ხეებს ტოტები გაუშლიათ, ყვავილებს გაზონები მოუქარგავთ. ჩანს კროპოტკინის ქუჩა, წინათ რომ ყუბის ქუჩის სახელით იყო ცნობილი. იქ მდებარეობს სახლი № 9, რომელიც ახლა მემორიალური დაფითაა შემკობილი და რომელშიც 1901 წლის 11 ნოემბერს შედგა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველი კონფერენცია. აქ აირჩიეს კონფერენციის დელეგატებმა რსდმპ თბილისის პირველი კომიტეტი და ამ კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში ი. ბ. სტალინი.

პლეხანოვის პროსპექტიც ჩანს, ლარივით სწორი და ფართო. აქაც არის ერთი ისტორიული კუთხე, სადაც მიხა ჩოდრიშვილს სადურგლო სახელოსნო ჰქონდა და სადაც 1904-1907 წლებში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით იმართებოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კრებები, თათბირები, კონფერენციები.

თბილისის საბჭოს აღმასკომის შენობაც ჩანს უფრო ახლოს. 1905 წლის 29 აგვისტოს ამ შენობაში და მის მახლობლად ყოფილ ერევნის მოედანზე მოხდა უიარაღო მუშების შეტაკება პოლიციასთან და კაზაკებთან.

ჩანს ის ადგილიც, სადაც 1901 წელს გაიმართა ამკარა პოლიტიკური საპირველმაისო დემონსტრაცია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იმ ამბის მომსწრე სახლთა კედლები კვლავ დგანან საკოლმეურნეო მოედნის მახლობელ კვარტალებში.

ხმალივით გაჭრეს მაშინდელი თბილისის ატმოსფერო სტალინური პროკლამაციების ბასრმა სიტყვებმა:

„მაშ, ჩვენც გავერთიანდეთ, მეგობრებო, რუსეთელ ამხანაგებთან! მივცეთ ხელი ერთმანეთს ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა, შევიკრიბოთ ერთად, ავაფრიალოთ წითელი დროშა და ვიდღესასწაულოთ ჩვენი ერთადერთი დღესასწაული — პირველი მაისი!“.

ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერა ხალხთა განთავისუფლებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში 1901 წლის 22 აპრილის ეს ამბავი: „ყოფილ ალექსანდრეს ბაღის რაიონში, ქალაქის ცენტრში, გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის ქარხნებისა და ფაბრიკების ორი ათასამდე მუშამ. დემონსტრანტებზე იერიში მიიტანეს პოლიციამ და კაზაკებმა. შეტაკების დროს დაჭრილ იქნა 14 მუშა და დაპატიმრებული 50-ზე მეტი დემონსტრანტი.

ამხანაგი სტალინი მონაწილეობას იღებდა ამ დემონსტრაციაში და პირადად ხელმძღვანელობდა მას“ (ლ. ბერია).

თბილისის ყველა ისტორიულ-რევოლუციური ადგილი ჩანს კომკავშირული ხეივნიდან.

იქ, შორს, რკინიგზის მთავარი სადგურის რაიონში, ტრამვაი-ტროლეიბუსის პარკი და სახელოსნოებია. უწინ იქ „კონკის“—ცხენის რკინიგზის პარკი ყოფილა. ესეც ღირსშესანიშნავი ადგილია. იქ მოაწყო დიდმა სტალინმა 1898-1899 წლებში სოციალ-დემოკრატიული წრე. იქ გაიმართა 1900 წლის 1 იანვარს მუშათა დიდი გაფიცვა, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელძღვანელობდა.

მშვენიერ საკოლმეურნეო მოედანს შეუცვლია ყოფილი „სალდათის ბაზრის“ მთელი უბანი. ეს მიდამო ბაღებში ჩაფლულა, მოედანი გადაშლილა და ტრამვაის ლიანდაგთა ლითონს

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს (ყოფ. ფიზიკური ობსერვატორიის) შენობა პლეხანოვის პროსპექტზე. ფოტო ვლ. გინზბურგისა

გაუხაზავს მახლობელი ქუჩები. პუშკინის ქუჩაზე მრავალსართულიან სახლთა დასაწყისში დიდი კოლონადებიანი ძველი შენობაა...

აქ ცხოვრობდა და სწავლობდა...

ამ შენობის კედელს ამშვენებს თეთრი მარმარილოს დიდი დაფა, ზედ ამოჭრილი ოქროს წარწერით:

დიდი სტალინი

საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბ) და მსოფლიო პროლეტარიატის

ბელადი

ცხოვრობდა და სწავლობდა აქ, ყოფილ სასულიერო სემინარიაში, 1894 წლის 1 სექტემბრიდან 1899 წლის 29 მაისამდე და ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის მუშათა არალეგალურ წრეებს.

პუშკინის ქუჩა, ნომერი ოთხი. ასეთია ამ სახლის მისამართი. განუწყვეტლივ მოდიან ამ კოლონადებიანი სახლის სანახავად ექსკურსანტები საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან და ხშირად უცხოეთის ქვეყნებიდანაც.

ექსკურსანტებს განმარტებას აძლევენ:

— ეს შენობა აგებულია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ხოლო თვით სემინარია გაიხსნა 1817 წელს. მეფის მთავრობა და სასულიერო უწყება ყველა ზომას მიმართავდნენ იმისათვის, რომ სემინარიელებისაგან აღეზარდათ თვითმპყრობელობისა და ეკლესიის მორჩილი მსახურნი. სემინარიაში დამყარებული იყო აღზრდის იეზუიტური მეთოდი—დაბეზღება, ჯაშუშობა, მოსწავლეთა აბუჩად აგდება. დაუშვებლად იყო მიჩნეული მხატვრული ლიტერატურის კითხვა, თეატრში წარმოდგენაზე დასწრება, ბიბლიოთეკაში სიარული, ლექციების მოსმენა და საერთოდ სემინარიის კედლებს გარეთ უნებართვოდ გასვლა! წირვა-ლოცვის გამოტოვება მომაკვდინებელ დანაშაულობად ეთვლებოდათ სემინარიელებს. სასტიკად იდევნებოდა ცოცხალი აზრი, აკრძალული იყო ქართული ენა და ქართული სიმღერები.

ექსკურსანტთა ხელმძღვანელი განაგრძობს საუბარს დიად ამბავზე, მსოფლიო მუშათა კლასის საყვარელი ბელადის, ჩვენი მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინის მიერ სემინარიაში გატარებული სიჭაბუკის წლების შესახებ, მისი რევოლუციური მოღვაწეობის დაწყებაზე, რუსეთიდან გადმოსახლებული მარქსისტების არალეგალურ ჯგუფთან კავშირის გაბმაზე, მხარგაშლილნი; ის მოაჯირიც, მაშინ რომ ერტყა ბაღს ირგვლივ, ისევ არტყია, ოღონდაც სხვა ყოველივე არაფერი ჰგავს აქ იმდროინდელს.

დიდი თბილისის დამამშვენებელი ცენტრია ახლა ეს უბანი. ბერიას მოედნის ირგვლივ მრავალსართულიანი დიდი სახლები, ბაღში შადრევანი, გრანიტის ტრიბუნა და ასწლოვან ხეთა ჩრდილი, ხოლო მოედნის ასფალტზე ავტობუსთა, ტროლეიბუსთა და მსუბუქ ავტომანქანათა დაუსრულებელი ქროლვა, ახალისებენ თვალს.

ღამით ფეერიულ სანახაობას წარმოადგენს დედაქალაქის ეს გული. სართულთა სიმაღლეებიდან წყვდიადს შუქით ჰკვეთავენ პროჟექტორები ყოველი მხრიდან, კიაფობენ სარეკლამო სინათლეები, ნეონის სანათურები, იასამანისფერად ათამაშებენ სხივებს ვიტრინათა შუშებზე ელექტროჰაღები. გვიან ნაშუაღამევამდე გრძელდება დიდი ქალაქის ხმაური და ისმის რეპროდუქტორიდან მწყემსის სოლო ჩონგურის აკომპანიმენტით:

— მარტო ვარ, ჩონგურს დავძახი
ძილი დავაფრთხე ტყისაო,
ლენინს ხსენება, ბიუებო,
სიცოცხლე სტალინისაო!

403,8 მეტრზე ზღვის დონიდან

თბილისის ისტორიული ადგილების გზის მაჩვენებელში წერია:

„თბილისის ფიზიკური ობსერვატორია დაარსებულ იქნა 1850 წელს.

ფიზიკური ობსერვატორიის შენობა იყო ორსართულიანი (მესამე სართული დაშენებულია საბჭოთა ხელისუფლების დროს) უსვეტებოდ. პატარა ჭიშკარი (ახლანდელი ჭიშკრის ადგილას) გადიოდა ქუჩიდან ბაღში. ბაღში განლაგებული იყო სასამსახურო შენობები და საცხოვრებელი ფლიგელები (მათი ნაწილი ახლაც არის შენარჩუნებული).

1899 წლის 28 დეკემბრიდან 1901 წლის მარტის დამლევამდე თბილისის ობსერვატორიაში გამომთვლელ-დამკვირებლად მუშაობდა ი. ბ. სტალინი...“.

ამ უბანშიც, რომელიც ზღვის დონედან 403,8 მეტრზეა, ბევრი რამ შეიცვალა.

მხოლოდ უცვლელად დგას მას შემდეგ საობსერვატორიო კოშკი ღრმა ხელოვნური თხრილით გამოთვისებულ პატარა მინდორზე, რომელსაც „მეტეოროლოგიურ მინდორს“ უწოდებენ. ნალექთა საზომი ხელსაწყოები, ანემოგრაფები — ქარის მიმართულებისა და სისწრაფის ჩამწერი აპარატები, სხვადასხვა დანიშნულების თერმომეტრები, მაგნიტომეტრები და მრავალი სხვა მეტეოროლოგიური ხელსაწყო და დანადგარი არის ამ მოედანზე.

ამჟამად აქ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოა. ახლა გამომთვლელ-დამკვირებლებს ავტომატები და მექანიზმები ცვლიან. საჭირო აღარ არის ღამით თოვლსა, ქარსა და ავდარში დანადგარებთან ყოველ საათს მისვლა, მაჩვენებლების ჩაწერა და რთული არითმეტიკული გაანგარიშების მოხდენა: თვითჩამწერი ხელსაწყოები ასრულებენ ადამიანის მოვალეობას.

გომბორის კალთებს უკვე ეწვია პირველი თოვლი. თეთრად გადაიფფაქა კოჯრის სერის მაღლობის ნაწილი და ამიტომ ყოფილი ობსერვატორიის პარკში დიად ამბავთა მომსწრე არყისხეები აღარ აშრიალებენ ფოთლებს. მაგრამ ძირს მიწაზე სეზონური ყვავილები კვლავ აფერადებენ ხედს და მეტეოროლოგიურ მინდორზეც ჯერ ისევ მწვანეა ბალახი.

ქალაქის უმშვენიერეს უბნად იქცა ჩვენს ეპოქაში ეს ადგილი: ჩელუსკინელთა ხიდის მშვენიერმა კორპუსმა გაალამაზა დედა-მტკვარი, საბურთალოს კლდე და მთა შუაზე გაჰკვეთეს ახალი თბილისის მშენებლებმა, საცალფეხო „კროშკას“ ადგილზე ფართო კეთილმოწყობილი ქუჩა გაიყვანეს, სადგურის ქუჩას გადაბეს და ქალაქს ახალი მაგისტრალი შესძინეს. საქალაქო ტრანსპორტის დიდი ნაკადი პერპენდიკულარულად ჰკვეთს ყოფილ მიხეილის პროსპექტს. სანაპირო ქუჩებით შეეიწროებული მტკვარი დინჯად მიაგორებს ტალღებს, ხოლო ზემოთ ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი და ხეივანში ჩაფლული კინოფაბრიკის კორპუსები ჩანან.

ძვირფასი მოგონება

1926 წლის 8 ივნისს თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა მუშების კრებაზე ამხანაგი ი. ბ. სტალინი ამბობდა:

„მაგონდება 1898 წელი, როცა პირველად ჩავიბარე რკინიგზის საელოსნოების მუშათა წრე. ეს იყო 28 წლის წინათ. მაგონდება, როგორ მივიღე პრაქტიკული მუშაობის პირველი გაკვეთილები ამხ. სტურუას ბინაზე ჯიბლაძის (მაშინ ისიც ერთ-ერთი ჩემი მასწავლებელი იყო), ჩოდრიშვილის, ჩხეიძის, ბოჭორიშვილის, ნინუას და თბილისის სხვა მოწინავე მუშების თანდასწრებით. ამ ამხანაგებთან შედარებით მაშინ მე ყმაწვილი კაცი ვიყავი. შესაძლოა მაშინ მე ცოტა უფრო ნაკითხი ვიყავი, ვიდრე ბევრი ამ ამხანაგთაგანი. მაგრამ, როგორც პრაქტიკული მუშაკი, მაშინ მე უთუოდ დამწყები ვიყავი. აქ, ამ ამხანაგების წრეში, მივიღე მე მაშინ ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. აქ, ამ ამხანაგების წრეში, გავხდი მაშინ რევოლუციის შეგირდი. როგორც ხედავთ, ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ.

ნება მიბოძეთ ვუძღვნა მათ გულწრფელი ამხანაგური მადლობა“.

ეს ძვირფასი მოგონება დაკავშირებულია იმ სახლთან, რომელიც ყოფილი ელისაბედის, ახლა კლარა ცეტკინის ქუჩაზე № 194 მდებარეობს. იგი გადაიქცა ისტორიულ ძეგლად, საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობად, დიად ბრძოლათათვის მომზადების დაწყების ადგილად. ამ სახლში იყო ვანო სტურუას ბინა, სადაც რკინიგზელ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა სტალინი.

ეს ისტორიული სახლი ახლა კალინინის სახელობის ლითონდამამუშავებელი ქარხნის მუშებსა და ინჟინერ ტექნიკოსებს აქვთ გადაცემული.

ამჟამად ვერც ამ უბანს იცნობთ. „კონკამ“ ტრამვაისა და კომფორტულ ტროლეიბუსებს დაუთმო ადგილი. ამ უბანშია კალინინის სახელობის ქარხანა, ფანერის ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა, სპილენძსაგლინავი საწარმო, „დინამოს“ შესანიშნავი სტადიონი. ამ სახლის მახლობლადაა გაშენებული და მოწყობილი ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ხეივნებით, საბავშვო რკინიგზითა და მრავალი გასართობით.

საამაყო ადგილი

ყოველდღე გამოდიან თბილისის ერთ-ერთი ძველი საწარმოს სარკინიგზო ჭიშკრიდან გაჯახსაღებული ორთქლმავლები, წყება-წყება ემატებიან სავაგონო პარკს ახალი გაკრიალებული ვაგონები.

აქ ამ ქარხანაში დაირწა პირველად საქართველოში სტახანოვური მოძრაობის აკვანი, აქ გაუჩნდნენ ალექსი სტახანოვს პირველი ქართველი ძოწეფეები დავით ჭიჭინაძე, კოსტა ილურიძე და მრავალი სხვა. აქ გაჩაღდა პირველად ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით და აქ გამოვიდნენ ლითონის ჩქაროსნული ჭრის ინიციატორებად ვახტანგ ბაისონამვილი, ვარლამ ბეჟუაშვილი და ათობით სხვა სტახანოველი.

ქარხნის ჭიშკრის თავზე ჰაეროვანი ბადეა უჟანგავი ფოლადისაგან ჩამოსხმული ასოებისაგან შემდგარი წარწერით: „სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა“.

ქვემოთ მეორე ჭიშკრის მახლობლად პატარა ბაღია, რომლის შუაგულში აღმართულია გრანიტისა და მარმარილოსაგან ნაკეთები დიდი, მაღალი ობელისკი წარწერით: **„დიდი სტალინი** საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) და მსოფლიო პროლეტარიატის **ბელადი** აქ, ამიერკავკასიის რკინიგზის ყოფილ მთავარ სახელოსნოებში, ხელმძღვანელობდა 1898-1901 წლებში სოციალ-დემოკრატიულ მუშათა წრეებს, პირველ გაფიცვებს და მუშათა პოლიტიკურ დემონსტრაციებს“.

„1898 წელს თბილისის რკინიგზის სახელოსნოში პირველად ეწყობა დიდი გაფიცვა; შემდეგ 1900 წლამდე მოეწყო და ჩატარდა მთელი რიგი დიდი გაფიცვები ბოზარჯიანცის ფაბრიკაში, „კოხკაზე“, ადელხანოვის ტყავის ქარხანაში, სტამბებში და სხვ., მოეწყო აგრეთვე თბილისის მუშების მთელი რიგი ძაისობანი და დემონსტრაციები. უმთავრესად ამხანაგების — სტალინის, კეცხოველისა და მოწინავე მუშების მეცადინეობით ეწყობა ფურცლებისა და პროკლამაციების არალეგალური ბეჭდვა და მათი გავრცელება თბილისის მუშებს შორის, აგრეთვე ამიერკავკასიის ცალკეულ რაიონებში“ (ლ. ბერია).

ისტორია მოგვითხრობს, რომ თბილისში მუშათა პირველი სერიოზული გაფიცვა დაიწყო 1898 წლის 14 (ახ. სტილით 27) დეკემბერს და გაგრძელდა იმავე წლის 21 დეკემბრამდე (1899 წლის 2 იანვრამდე), რომ ეს გაფიცვა ბოლოს მთავრობის მხრივ დათმობაზე წასვლით დამთავრდა.

გაფიცვას ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი.

ისტორია მოგვითხრობს მეორე უფრო დიდი და გმირული ეპიზოდებით აღსავსე მასობრივი გაფიცვის შესახებ, რომელიც 1900 წლის პირველ აგვისტოს დაიწყო და რომელმაც მიუხედავად დამარცხებისა, უდიდესი მაორგანიზებელი როლი შეასრულა ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის განვითარების საქმეში.

ასე მოგვითხრობს ისტორია.

ამიტომ მიაჩნიათ თბილისელებს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, დედაქალაქის უხუცესი საწარმო, საამაყო ადგილად.

ვერის ღელის ნაპირას

ახლანდელი აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ტერიტორიაზე წინათ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა იყო. 1898 წელს ი. ბ. სტალინმა კავშირი დაამყარა ამ ფაბრიკის მოწინავე მუშებთან, მოაწყო მათგან სოციალ-დემოკრატიული წრე და გააჩაღა რევოლუციური მუშაობა.

დიდი ხანი არაა, რაც ქალაქის ეს მიყრუებული ბოზარჯიანცის ფაბრი-

(დასასრული მე-3 გვერდზე)



თბილისი. ბერიას სახელობის მოედანი — საქართველოს დედაქალაქის მშვენება. მარჯვნივ პუშკინის ქუჩა, მარცხნივ — რუსთაველის პროსპექტის დასაწყისი. შუაში ჩანს პუშკინის პატარა ბაღი, ხოლო მის უკან — ყოფილი სემინარიის შენობა. ფოტო ვლ. გინზბურგისა

სტალინური ისტორიული ადგილები

იქ, სადაც დაიწყო დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა

(დასასრული)

კის ყოფილი კუთხე ერთ-ერთ ულამაზეს ადგილად გადაიქცა.

მშვენივრად მოწყობილი დიდი აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა მრავალსართულიანი კორპუსებით, სახელოსნოებითა და ლაბორატორიებით, უახლესი საქსოვი დაზგებითა და მთელ რესპუბლიკაში სახელმოხვეჭილი ფეიქარი ოსტატებით მაღალხარისხოვან მოდურ აბრეშუმის ქსოვილებს გვაძლევს.

ახლა ფაბრიკას აფართოებენ, მას ახალი, დიდი მრავალსართულიანი კორპუსი მიემატება.

ამ უბანს ამშვენებენ გმირთა მოედანი, ასბინიანი სახლი, ცირკის შესანიშნავი შენობა. ამ უბანს ამშვენებს მარმარილოს თეთრი, მაღალი ობელისკი— მუშათა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე აქ დიდი სტალინის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

ექსკურსია ორთაჭალისკენ

მიასნიკოვის განიერ ქუჩაზე ავტობუსს ექსკურსანტები მიჰყავს ორთაჭალისკენ.

აგერ სამას არაგველთა ხიდი! ავტობუსი შეჩერდა და ექსკურსანტთა ხელმძღვანელი საუბარს შეუდგა:

— აქ, ადელხანოვის ყოფილ ფეხსაცმლის ფაბრიკაში 1899-1901 წლებში აწყობდა და ხელმძღვანელობდა მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებსა და მუშათა გაფიცვებს დიდი სტალინი!

ახლაც მუშაობს ამ ფაბრიკაში იმ დროის მომსწრე მოხუცი მუშა ალექსი ბედიაშვილი. იგი ექსკურსანტებს მოუთხრობს, შრომის რა მძიმე პირობები იყო მაშინ ფაბრიკაში, როგორ ირაზმებოდნენ მუშები ექსპლოატატორების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს ფაბრიკა ახლა სავსებით გამოცვლილია. ექსკურსანტები ათვალიერებენ მას. ცხელი ვულკანიზაციის საამქრო თავისი მოწყობილობითა და სიახლით დიდ ინტერესს იწვევს ფეხსაცმლის მკერავთა პროფესიიდან შორს მდგომ ექსკურსანტებშიც.

კონვეიერს უძიროდ გამზადებული წყვილი ფეხსაცმელი მიაქვს წნეხებთან. წამოავლებს მეწნეხე მუშა უძიროო ფეხსაცმელს ხელს, წამში ჩამოაცმევს ლითონის კალაპოტს, ამუშავდება წნეხი, მოიკეცავს „ფეხს“, ამასობაში ორივე მხრიდან ფეხსაცმელს გარს შემოეკვრის ლითონისავე ქოში, ქვემოდან მატრიცი დაფარავს საძირეს და წამოვა უხლავი მილით ადუღებული რეზინი, მტკიცე ლანჩად მიეკვრის ფეხსაცმელს და რამდენიმე წუთში მზა პროდუქცია მიაქვს მეორე კონვეიერს.

მოძრაობენ კონვეიერები, მოაქვთ წყვილწყვილად ჩაწყობილი ფეხსაცმელი, ამოწმებენ მათ ხარისხს ტექნიკური კონტროლიორები და ავტომობილებით სავაჭრო ორგანიზაციათა ბაზებში გზავნიან.

დედაქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო რაიონია ახლა ძველი ორთაჭალა. ამ ფაბრიკის გარდა, რომელიც სტალინის სახელს ატარებს, ორთაჭალაშია მეორე სამკერვალო ფაბრიკა, ქეჩის ქარხანა, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბამბის ძაფსართავი ფაბრიკა, ქიმიური კომბინატი, ტყავის ორი ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ექსკურსანტთა ავტომობილი 300 არაგველთა ხიდს გაივლის, აღმართს ალევს, შაუმიანის ქუჩას გადასერავს და კასპის ქუჩაზე საქვეყნოდ ცნობილ დიდების ადგილთან — მეოთხე ნომრით აღნიშნულ სახლთან შეჩერდება.

მსოფლიოს ყოველი კუთხიდან

კასპის ქუჩაზე მდებარე პატარა სახლის ეზოში ახმაურდა 1903 წლის ნოემბრიდან მიწის გული და სეისმურ ტალღებზე უფრო მძლავრად გავრცელდა დიადი ძალა მტარვალთა შესაძრწუნებლად. თითქმის სამი წლის განმავლობაში ბობოქრობდა აქ მიწისქვეშეთი, შუქსა ჰფენდა ჩაგრულთა საბრძოლო გზას, აშფოთებდა სასახლეებს, გამოდარების რწმენას ნერგავდა ქოხებში, რაზმავდა მებრძოლთა რიგებს მჩაგვრელ ძალთა გასანადგურებლად.

ვერ მიმხვდარიყო მტერი, თუ საიდან მოდიოდა ეს მრისხანე, გაბედული სიმართლის ხმა, საიდან ემუქრებოდა ხანძარი მის ბატონობას.

ამ სახლის ეზოს წიაღიდან გამოდიოდა მტრისათვის ეს მრისხანე ხმა. აქ იყო მოწყობილი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა.

სახლის კედელზე გაკრულ მემორიალურ დაფაზე ვკითხულობთ:

„ამ სახლის სარდაფში 1903 წ. ნოემბრიდან 1906 წლის 15 აპრილამდე არსებობდა არალეგალური სტამბა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი სტალინი.

1906 წელს თვითმპყრობელობის მიერ დანგრეული ავლაბრის არალეგალური სტამბა რესტავრირებულია 1936 წელს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 16 ნოემბრის დადგენილებით“.

ასეულ ათასობით საბჭოთა ადამიანები, მოწინავე პროგრესული კაცობრიობის ათასობით წარმომადგენლები, რევოლუციონერები, მწერლები, პოეტები მოდიან აქ ყოველდღე, რათა პირადად ნახონ ეს განსაცვიფრებელი ძეგლი, ბოლშევიკური იატაკქვეშეთის ბრწყინვალე სტალინური ადგილი.

— აღფრთოვანებული ვართ სოციალისტური რევოლუციის გენიოსი ორგანიზატორის დიდი სტალინის მიერ გმირული, უსაზღვროდ თავდადებული რევოლუციური ბრძოლის ბრძნული ხელმძღვანელობის ამ უკვდავი ძეგლის — ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური, ამჟამად რესტავრირებული სტამბის ნახვით.



ათასობით საბჭოთა ადამიანები მიდიან ყოველდღიურად დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ერთ-ერთი დიადი ადგილის— ავლაბრის რესტავრირებული ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბის დასთვალიერებლად. სურათზე — ექსკურსანტთა რიგი ელის სტამბის დათვალიერების ჯერს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

★ ★

კიდევ მეტად ურყევი და მტკიცე ხდება ჩვენი რწმენა მომავლისადმი, ძლიერდება და მხურვალედ იზრდება ჩვენი სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი, რომელსაც კაცობრიობის გენიოსი ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი მესაჭეობს.

ხ. მარინელო

კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე

ნ. ჰენელიენ

კუბის კომპარტიის ც. კ-ის წევრი.

ასე სწერენ შთაბეჭდილებათა წიგნში საქართველოს დედაქალაქში მოკლე ხნით სტუმრად ჩამოსული შორეული კუბის მშრომელთა წარმომადგენლები, ჩვენი სამშობლოს მეგობრები.

— ჩვენ ვნახეთ საბჭოთა კავშირი, გავეცანით საბჭოთა ხალხების მიღწევებს, საკუთარი თვალით ვიხილეთ კომუნისტური საზოგადოების ხელშესახები ნიშნები... დღეს დავათვალიერეთ ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, რომელიც საქართველოს დედაქალაქ თბილისის ერთ-ერთ უბანშია... შეუძლებელია დაეჭვება — კომუნიზმი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში!

ეს სიტყვები ჩაწერეს იმავე შთაბეჭდილებათა წიგნში ჩინელი ახალგაზრდების დელეგაციის წევრებმა **სიაო ხუამ, ხან ტენ-შიმ, ჩენ ტონ-კონმა** და სხვებმა.

— ლექსად მინდა ჩემი შთაბეჭდილება გადავცე ჩემს მშობელ ჩინელ ხალხს. ვწუხვარ ვერ შევძლებ ღირსეულად. ლექსს სათაურად უნდა გავუკეთო: „დიდებული, მარადიული ძეგლი რევოლუციის ისტორიისა თბილისში“.

მაო-დუნ (ჩინელი პოეტი)

შთაბეჭდილებათა ჟურნალების მთელი ბიბლიოთეკა დაუროვებიათ აქ, სტამბის რესტავრირების შემდგომ პერიოდში — 1937 წლიდან. ერთ მილიონამდე აღწევს იმათი რიცხვი, ვინც უკვე დათვალიერა ეს დიადი ისტორიული ძეგლი. მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე არის აქ ჩანაწერები მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ.

ამ მილიონ ადამიანს, რომელთაც დღესდღეობით დათვალიერებული აქვთ ავლაბრის რესტავრირებული ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, აქ, შთაბეჭდილებათა წიგნებში, დაუტოვებიათ თითო-ოროლა სტრიქონი, ხოლო წაუღიათ ახალი მძლავრი სულისკვეთება და განმტკიცებული რწმენა, რომ ვერაფერი შეაჩერებს ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების განხორციელებას.

საღაც აფრიალდა საპირველმაისო დროშა

„ისინი შეიკრიბნენ ქალაქგარეთ მლაშე ტბის რაიონში მარქსის, ენგელსის პორტრეტებით და რევოლუციური ლოზუნგებით.

მიტინგზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ამხანაგი სტალინი და მოუწოდა მუშებს მეფისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ“...

ლ. ბერია

1900 წლის 23 აპრილს აფრიალდა საპირველმაისო წითელი დროშა მლაშე ტბებთან სამგორის ველის ამ ყრუ კუთხეში.

დრტვინავდა მაშინ საქართველოს მშრომელი ხალხი, დრტვინავდა დიდი რუსი ხალხიც. თანდათან ძლიერდებოდა გამომაფხიზლებელი ხმა ხალხთა საუკეთესო შვილებისა.

იქ ლენინი იყო...

აქ — სტალინი...

განხორციელდა სემინარიელობისას ჰუშკინის ბაღში გამოთქმული ნატვრა — „რაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვნახო იგი“...

ლენინი და სტალინი შეხვდნენ ერთმანეთს და მრავალი წლის მათი მეგობრობისა და ერთად ბრძოლის შედეგად, 1917 წლის ისტორიულ დღეს კრეისერ „ავრორას“ ქვემეხთა ქუხილმა ამცნო მსოფლიოს ახალი ეპოქის დასაწყისი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

განვლეს დიადი ბრძოლების წლებმა. „სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიაღწიეს მათ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა“ (ი. ბ. სტალინი).

მლაშე ტბის რაიონში ახლაც ფრიალებენ დროშები. ეს დროშები მშენებლებისაა. იქ განუწყვეტლივ გუგუნებენ მძლავრი მიწისმთხრელი მექანიზმები — სკრეპერები, ბულდოზერები, ექსკავატორები ებრძვიან დამლაშებულ მიწას და გაჰყავთ სამგორის მაგისტრალური სარწყავი არხები.

იქ, იმ ადგილას, სადაც ცხრაასიანი წლის პირველმაისობა აღნიშნეს თბილისელმა მუშებმა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, რამდენიმე წლის შემდეგ „თბილისის ზღვიდან“ ნადენი ივრის წყალი გააცოცხლებს სამგორის მიწას.

დამთავრდა წყალგამშვები კაშხალებისათვის მიწაყრილის კეთება. მექანიზმები გადაყვანილი არიან ქვედა მაგისტრალის გათხრაზე, რათა მომავალში „თბილისის ზღვის“ წყალი მხსნელად და სიცოცხლის შთამბერავად მოევლინოს გარდაბანამდე გადაფენილ ველს.

ჩრდილოეთის მიმართულებითაც გაყავთ ამ „ზღვიდან“ მაგისტრალური არხი. აქაც სკრეპერებისა და ბულდოზერების განუწყვეტელი გუგუნი ისმის. მათ უნდა გაუმზადონ გზა იმ წყალს, რომელიც გააცოცხლებს მლაშე ტბის მიდამოდან ავჭალამდე მთელ სივრცეს.

ქვეყანა აყვავდა, გაიფურჩქნა.

ცოცხლდება სამგორის მიწაც.

ყოველივე ამას ხალხი უმადლის ლენინ-სტალინის პარტიას, ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

...ჰყვავის თბილისი

ჰყვავის თბილისი — ჩვენი ქალაქი. მშვიდად ბუტბუტებს რკინაბეტონის არტახებში მომწყვდეული მტკვარი — საქართველოს აღორძინების ამბავს. კომკავშირული ხეივნიდან ჩანს მთელი ქალაქი, ეზის სხივებით გაბრწყინებული, მწვანე ნარგავთა მასივებით მოქარგული დიდი თბილისი.



ს. ციდრიშვილის სადურგლო სახელოსნოს ყოფილი ბინა პლეხანოვის პროსპექტზე. სახელოსნოში შესასვლელი კარის თავზე გაკრულია მემორიალური დაფა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

დღეს კარგი ამინდია, ლაღად გადაშლილა თბილისი მტკვრის ხეობაში. კვლავინდებურად აფრქვევს მზე სხივებს და არ იგრძნობა გომბორის ცივი კალთებიდან და კოჯრის სერიდან ნიავის ფრთებით წამოსული სუსხი.

ამაყობენ თბილისელები მშობლიური, აღორძინებული, გამშვენიერებული დედაქალაქით, მისი დიადი ისტორიულ-რევოლუციური ადგილებით, საკაცობრიო მნიშვნელობის დიადი სტალინური ძეგლებით. თბილისის განახლებას ისინი უმადლიან დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლავრენტი ბერიას.

საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში ნაყოფიერი მოღვაწეობისას ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიერ დამკვიდრებული ტრადიციით გრძელდება ახლაც თბილისის კეთილმოწყობის საშუაოები, შეუნელებლივ იზრდება, ფართოვდება ჩვენი ქალაქი.

ქალაქს ახალ მშვენებად უკვე შემოემატა გაფართოებული მაგისტრალი მელიქიშვილის ქუჩისა. უკვე ახლებურად შემოიზღუდა მტკვრის სანაპირო ახალ ქუჩათა საყრდენი კედლებით, ოქროყანის მიდამოებსა და მთაწმინდაზე ტყემ გაიხარა, მწვანით შემოსა თირდობები, ვაკე დამშვენდა ვებერთელა ახალი პარკით, გაჩაღებულია ახალი სტადიონის მშენებლობა, სულ მოკლე ხანში ვაკეზე სხვა მშენებლობაც გაჩაღდება, დედაქალაქი ახალი არქიტექტურული ანსამბლებით მოირთვება.

მთაწმინდის ზეგანზე სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკიდან და კომკავშირული ხეივნიდან ჩანან თბილისის ინდუსტრიული უბნები. ქარხნების კვამლსადენებიდან ბოლი ცის კამარას სწვდება, მატარებლები მიქრიან ყოველი მიმართულებით, თბილისისკენაც მოქრიან სამგიერო მატარებლები. ისმის ორთქლმავალთა კვნესა, ელექტრომავლებისა და თბომავლების საყვირთა ხმა.

საწარმოებში ახლა განსაკუთრებული შრომითი აღმავლობაა, დიდი მზადებაა, შეჯიბრებაა გაჩაღებული ახალი საწარმოო მიღწევების მოსაპოვებლად. ყველა კოლექტივი, თვითეული მუშა, თვითეული ინჟინერი, მოსამსახურე, თავდადებით და უმაგალითო ენერგიით შრომობს იმისათვის, რათა ახალი წარმატებით აღნიშნოს ხალხთა ბელადის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავი. ყველა იბრძვის ამ საქმეში თავისი პირადი წვლილის შესატანად.

საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების ხალისიანი გუგუნი უერთდება ქალაქის ხმაურს, უფრო მაღლა, ცის უსაზღვროებისაკენ მიიწევს კვამლსადენებიდან აჭრილი ბოლის სვეტი, ხოლო კომკავშირული ხეივნიდან დინჯად დაყურებს თბილისს მონუმენტური ელექტროპორტრეტი იმ ადამიანისა, რომელსაც ყველა ხალხი უმღერის ბელადს, მამას, მასწავლებელს—დიდ სტალინს!

მის სადღეგრძელოდ ჰყვავის თბილისი.

დ. ლომთაძე

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა მრეწველობის 1949 წლის ნოემბრის მუშაობის შედეგთა შესახებ

ნოემბერში რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა 104 პროცენტით შეასრულა.

საკავშირო მრეწველობის საწარმოებმა გეგმა შეასრულეს 103 პროცენტით, რესპუბლიკურმა მრეწველობისამ—105 პროცენტით.

წლის დამდეგიდან მთელი მრეწველობის პროდუქცია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა.

საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროთაგან საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა არ შეუსრულებია სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს (შესრულება—94 პროცენტი). საერთო პროდუქციის გამოშვების ნოემბრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ გეგმით გათვალისწინებული ოდენობით ვერ უზრუნველყვეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახის ნაწარმის გამოშვება: კვების მრეწველობის სამინისტრომ—საკმელი ზეთის, ლუდის, ღვინის; მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — ფეხსაცმლის; ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ — ძეხვეულის, რძისა და მოუხდელი რძის პროდუქციის; საშენი მასალების მრეწველობის სამინისტრომ—კირის; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ—საპნის რესპუბლიკურ მრეწველობაში და კრამიტის, კირის, ლურსმნის, ნალის, ავეჯის, საწოლის და ტრიკოტაჟის ნაწარმისა—რაიონულ მრეწველობაში.

სარეწაო კოოპერაციას საერთო პროდუქციის გამოშვების ნოემბრის გეგმა არ შეუსრულებია. სარეწაო კოოპერაციის სამმართველომ გეგმა შეასრულა 97 პროცენტით, საკოპინკავშირმა — 80 პროცენტით.

მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ნაწარმთა გამოშვების თვიური გეგმის შესრულებამ ნოემბერში შეადგინა (პროცენტობით):

მარგანეცის სასაქონლო მადანი — 103, ქვანახშირი—102, ნავთობი—93, ელექტროენერგია—87, საშახტო ელექტრომავლები — 103, საშახტო ტრანსპორტერები (რტუ—30)—113, ლითონსაჭრელი დაზგები—110, საქსოვი დაზგები—150, ცემენტი—112, შიფერი—112, აგური—95, კრამიტი—76, კირი—88, ასანთი—84, შეწებებული ფანერი—121, დახერხილი ხე-ტყე—92, სამასალე მერქნის გამოზიდვა—113, ქაღალდი—99,1 შალის ქსოვილები—105, აბრეშუმის ქსოვილები—100,5, გრეჯა—105, წინდის ნაწარმი—106, ტრიკოტაჟის საცვლები—102, ზედა ტრიკოტაჟი—71, ფეხსაცმელი—85, რბილი ტყავეული—81, საწოლები—93, პიანინო—100, ერბო-კარაქი—190, საკმელი ზეთი—52, მარგარინის ნაწარმი—114, ხორცი—113, კონსერვი—89, მაკარონის ნაწარმი—100,1, ღვინო—84, პაპიროსი—114, ფხვნილი შაქარი—100, საპონი—94.

რესპუბლიკის საწარმოთა უმეტესობამ წარმატებით შეასრულა ნოემბრის გეგმა, ხოლო მთელმა რიგმა საწარმოებმა უკვე დაამთავრეს წლიური გეგმის შესრულება საერთო პროდუქციის მიხედვითაც და ნაწარმის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვითაც.

ჩამორჩენილ საწარმოებში თვიური გეგმის შესრულებამ შეადგინა (პროცენტობით):

საკავშირო მრეწველობაში—ლიტოპონის ქარხანა—96, ჭიათურის მარგანეცის ტრესტი—95, ხაჭესი—93, ტყვარჩელის რაიონული თბოელექტროსადგური—90, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა—89, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი—87, საქკონსერვტრესტი — 82, რიონჰესი—55, აწჰესი — 51, თბილისის თბოელექტროცენტრალი—45;

რესპუბლიკურ მრეწველობაში—საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტი — 98, ტრესტი „საქტუნგო“— 88, საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტი—80, № 1 ტყავეულის ქარხანა—75, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა—74, მარელისის ავეჯის ფაბრიკა—73, სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატი—70, ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა—66, სტალინირის ხე-ტყის კომბინატი—38.

მთელმა რიგმა საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა უმეცა შეასრულეს, მაგრამ ვერ უზრუნველყვეს დავალების შესრულება ნაწარმის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან: ტრესტი „საქნავთი“, ტრესტი „საქნავთმრეწვმასალა“, ფოლად-თუჯის სამსხმელო ცენტრალური ქარხანა, კასპის ცემენტის ქარხანა, შიფერის ქარხანა, ინგირის ქაღალდის კომბინატი, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“, სამტრესტი, საქპურტრესტი, „საქმთავკონდიტერი,“ გურჯაანის აგურის ქარხანა, შროშის ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანა, მცხეთის ასანთის ფაბრიკა, ბათუმისა და თბილისის ფანერის ქარხნები, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, ქუთაისის აბრეშუმკომბინატი; საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტი, საქართველოს ყველ-კარაქის მრეწველობის ტრესტი, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს 1949 წლის გეგმა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებმა 1949 წლის საწარმოო გეგმა ვადამდე — 10 დეკემბრისათვის 103.1 პროცენტით შეასრულეს. (1926-1947 წ. უცვლელ ფასებში).

წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 9 მილიონამდე მანეთის პროდუქცია.

მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია: ჩაის მრეწველობაში — 108 პროცენტით, თამბაქოს მრეწველობაში — 107,9 პროცენტით, მინერალური წყლების წარმოებაში—106,3 პროცენტით, ზეთსახდელ და საპნის წარმოებაში—102,3 პროცენტით.

ნატურალური პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა შეასრულეს: მზა შეფუთული ჩაის გამოშვებისა — 111,9 პროცენტით (აქედან მწვანე აგურა ჩაისა — 110,7 და ბაიხაო ჩაისა — 113,8 პროც.), პირველადი გადამუშავების ჩაისა — 101,1, არყისა — 105,5, ჭაჭის არყისა — 113,7, კონიაკებისა — 110, პურის სპირტისა — 107,5, ყურძნის წვენისა — 106,6 პროცენტით.

ტუნგოს ზეთის გამოშვების გეგმა შესრულებულია 126,9 პროცენტით, თამბაქოს გამოშვების — 123,6 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა — 103,6, პაპიროსისა — 104,1, ტექნიკური გლიცერინისა — 105,5, საპნისა (40-პროცენტიანზე გადაყვანით)—100,4, მინერალური წყლებისა — 102,2 და ბოთლებისა — 111,7 პროცენტით.

საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები წარმატებით განაგრძობენ მუშაობას წლიური გეგმის გადამატებით პროდუქციის გამოსაშვებად და ახალი სამეურნეო წლისათვის მოსამზადებლად.

გეგმის გადამეტებით 5 ტრაქტორს შეაკეთებენ

ბოლრი. (საკ. კორ.). ახალსოფლის მტს-ის კოლექტივი გაცხოველებით ემზადება ხალხთა ბელადის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად. მტს-ის კოლექტივმა დროულად შეასრულა მზრალად ხვნის გეგმა. მეცხრე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც დ. ბატონისაშვილი ხელმძღვანელობს, 120 პროცენტით გაანადა წლიური დავალება, მთლიანად დაამთავრა ტრაქტორების რემონტი. ბრიგადამ იკისრა 21 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით მზრალად მონნას 100 ჰექტარი. მეექვსე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტები ალ. ნიკარიანი და ვ. ჯავაკი იბრძვიან იმისათვის, რომ რემონტი 21 დეკემბრისათვის დაამთავრონ.

მტს-ის კოლექტივის ვალდებულებაა 21 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით შეაკეთოს 5 ტრაქტორი.

შირაქი ინვევს აღაზანს

შირაქის მტს-ის (დირექტორი ა. კაჭარავა, მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ვ. რევაზიშვილი) კოლექტივი ენერგიულად მუშაობს იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდეს დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის იუბილეს. სარემონტო ბრიგადებსა და ტრაქტორისტებს შორის ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 20 დეკემბრისათვის 110 პროცენტით შეასრულოს ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა. იმ ბრიგადამ, რომელსაც ვ. მელიქიშვილი ხელმძღვანელობს, პირობა დადო 20 დეკემბრისათვის მთლიანად დაამთავროს ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი. ამ ბრიგადამ 5 ტრაქტორიდან უკვე შეაკეთა 4. ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს ბრიგადირებმა კ. მელიქიშვილმა, დავითაშვილმა, ნინოშვილმა, ბექაურმა, გორბიკოვმა და სხვებმა.

შირაქის მტს-ის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ალაზნის მტს-ის კოლექტივი.

ბერლინიდან გამოემგზავრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი

ბერლინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილის 6 საათზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი, რომელმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მიწვევით ორ დღეს დაჰყო ბერლინში, მოსკოვს გაფრინდა.

შენეფელდის აეროდრომზე ა. ი. ვიშინსკი გააცილეს: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეებმა ბ-ნმა ულბრიხტმა, კასტნერმა, ნუშკემ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დერტინგერმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანმა აკერმანმა, მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაურმა, ელჩმა აპელტმა, დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრმა ებერტმა, გერმანიის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩეხოსლოვაკიის დიპლომატიური მისიის მეთაურმა, ელჩმა ფიშელმა, პოლონეთის სამხედრო მისიის მეთაურმა გენერალმა პრავინმა, უნგრეთის მისიის მეთაურმა კევეშმა, ბულგარეთის სავაჭრო მისიის მეთაურმა იოტოვმა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მისიების სხვა წარმომადგენლებმა.

ამხ. ა. ი. ვიშინსკი გააცილეს აგრეთვე გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეებმა ი. ფ. სემიჩასტნოვმა და ა. ფ. კაბანოვმა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაურმა, ელჩმა გ. მ. პუშკინმა, გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარესთან მყოფმა პოლიტიკურმა მრჩეველმა ვ. ს. სემიონოვმა, გენერალ-მაიორმა ა. გ. კოტიკოვმა და სხვ.

გაცილებისას ჩამწკრივებული იყო გერმანიის სახალხო პოლიციის საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნები. აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით.

ბ-ნებმა დერტინგერმა და ულბრიხტმა და ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ამხ. ა. ი. ვიშინსკი მოსკოვს დაბრუნდა

16 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ა. ი. ვიშინსკი თვითმფრინავით ბერლინიდან მოსკოვს დაბრუნდა. (საკდესი).

ბულგარეთის სახელმწიფო დამნაშავის ტრაიჩო კოსტოვის თხოვნა შეწყნარების შესახებ

სოფია, 16 დეკემბერი. (საკდესი). ტრაიჩო კოსტოვ ჯუნევმა, რომელსაც გამცემლობის, ჯაშუშობისა და მავნებლობისათვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმს შემდეგი თხოვნით მიმართა:

პატივცემულო დეპუტატებო! დამნაშავედ ვცნობ თავს სასამართლოს მიერ ჩემთვის წამოყენებულ ბრალდებებში და მთლიანად ვადასტურებ წინასწარი გამოძიებისას ჩემ მიერ მიცემულ ჩვენებას.

შევიგენე რა შემდგომ მომენტში, რომ არასწორი იყო უმაღლესი სასამართლოს წინაშე ჩემი ქცევა, რომელმაც შეიძლება ავნოს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას და ჩრდილი მიაყენოს სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას, გულწრფელად ვნანობ ჩემს ასეთ ქცევას, რომელიც მეტად აგზნებული ნერვების შედეგი და ავადმყოფური ინტელიგენტური პატივმოყვარეობის გამოვლინება იყო. ვნანობ რა აგრეთვე ჩემს მოქმედებასა და დანაშაულს, რაც ჩავიდინე როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და ეკონომიურ და საფინანსო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ და რამაც ზიანი მიაყენა ბულგარეთის ინტერესებს და მის მეგობრულ ურთიერთობას სსრ კავშირთან და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან, გთხოვთ გააუქმოთ, თუ შესაძლებელს ცნობთ, ჩემთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი და შემიცვალოთ იგი მუდმივი სასტიკი პატიმრობით.

მომაჩნია, რომ უმაღლესი სასამართლოს განაჩენი აბსოლუტურად სწორია და შეესაბამება ბულგარეთის სწორი და მშვიდობიანი განვითარების ინტერესებს, ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებთან და მათი აგენტების — სოციალიზმის მოღალატეების ტიტოსა და მისი ხროვის იმ ცდებთან ბრძოლის ინტერესებს, რომლებიც მიმართულია ბულგარეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ.

ვფიქრობ, რომ იმ სულგრძელობას, რომელსაც დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმი ჩემს მიმართ გამოიჩენდა, მე ამით ვუპასუხებდი, რომ მთელ დარჩენილ სიცოცხლეს მოკახმარდი ბულგარელი ხალხისათვის ჩემ მიერ მიყენებული ზიანის გამოსწორებას, ჩვენს ქვეყანაში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის აშენების დიდი საქმისათვის ᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ.

პატივისცემით ტრაიჩო კოსტოვი.

1949 წლის 14 დეკემბერი,
ქ. სოფია.

ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲐᲠᲘ

ᲢᲠᲐᲘᲩᲝ ᲙᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲨᲔᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სოფია, 16 დეკემბერი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმმა თავის 1949 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე განიხილა თხოვნა ტრაიჩო კოსტოვისა, რომელსაც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა გამცემლობის, ჯაშუშობისა და მავნებლობისათვის, და, ვერ ჰპოვა რა საფუძველი განაჩენის შემსუბუქებისათვის, ეს თხოვნა უშედეგოდ დატოვა.

მოღალატე ტრაიჩო კოსტოვისათვის გამოტანილი განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში დღეს, პარასკევს, 1949 წლის 16 დეკემბერს.

„სკინგეია“ ᲢᲠᲐᲘᲩᲝ ᲙᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲐᲜᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲐᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 15 დეკემბერი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა განაჩენს, რომელიც ბულგარეთის უმაღლესმა სასამართლომ გამოუტანა სახელმწიფო დამნაშავე ტრაიჩო კოსტოვსა და მის თანამონაწილეთ, გაზეთი „სკინტეია“ წერს: „კოსტოვთან და მის თანამონაწილეებთან ერთად პროცესმა ამხილა აგრეთვე მათი იმპერიალისტი ბატონები და მოღალატე ტიტო. კოსტოვის ბანდის დანაშაულებრივი საქმიანობის გამომეღავნებამ და მისი საზიზღარი გეგმების განადგურებამ განამტკიცა ბულგარეთის კომუნისტური პარტია, ბულგარეთის სახალხო დემოკრატიის რეჟიმი, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ხალხის მასები უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც გადაჭრით და თანმიმდევრულად განაგრძობს გიორგი დიმიტროვის ლენინურ-სტალინურ ხაზს“.

დასასრულ გაზეთი მოუწოდებს რუმინეთის შუშათა პარტიის წევრებს გააძლიერონ რევოლუციონური სიფხიზლე.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 16 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა განცხადების ტექსტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა კომისარმა დასავლეთ გერმანიაში მაკლოიმ და ადენაუერმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას დასავლეთ გერმანიაზე მარშალის გეგმის გავრცელების შესახებ.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ“

Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐ

ის ფაქტი, რომ ნ. ანანიაშვილის მუსიკალური კომედია „თბილისის ცის ქვეშ“ მეორე წელია წარმატებით იდგმება ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში, მოწმობს იმ სერიოზულ ინტერესს, რასაც მაყურებელი იჩენს თანამედროვე საბჭოთა ორიგინალური კომედიისადმი.

თანამედროვე ქართული საბჭოთა კომედიის შექმნის ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს ნ. ანანიაშვილის კომედია „თბილისის ცის ქვეშ“. საბჭოთა მუსიკალური კომედიის შექმნის საქმეში ძირითად ფაქტორს წარმოადგენს იდეურად გამართული მაღალმხატვრული ლიბრეტო, რომელშიც კომედიისათვის შესაფერი საშუალებებით წარმოსახული იქნება ჩვენი დიადი სინამდვილე.

ახალგაზრდა დრამატურგის ნ. ანანიაშვილის კომედია ასახავს თანამედროვე საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას, მათ მისწრაფებებსა და გრძნობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კომედია არის ერთ-ერთი პირველი დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ასახულია ახალი თბილისი.

კომედიის სიუჟეტი სადა და უპრეტენზიოა. მართალია, იგი ძველებური ფარსისა და ვოდევილის შტამპის ერთგვარი გავლენით არის აგებული, მისი სიუჟეტური კვანძი წარმოადგენს ზოგჯერ გაუმართლებელ და ნაკლებად რეალურ გაუგებრობათა ჯაჭვს, რასაც ტრადიციული კეთილი ფინალი აგვიგრგვინებს. მაგრამ პიესაში მოცემული თანამედროვე საბჭოთა ცხოვრების ჯანსაღი ელემენტები — შემოქმედებითი სოციალისტური შრომისადმი კეთილშობილური დამოკიდებულება, საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები, ჯანსაღი ჰუმორი, რომლითაც ხასიათდება ეს ნაწარმოები, საინტერესოდ ხდიან მას მაყურებლისათვის.

მუსიკალურ კომედიაში კომპოზიტორს ლიბრეტისტთან ერთად წამყვანი როლი ეჩაჭება. მუსიკის ავტორი კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე ქართველ კომპოზიტორთა საშუალო თაობის ნიჭიერი წარმომადგენელია. მისი ნაწარმოებები მუდამ მსუბუქი და გასაგები ენით არიან დაწერილნი და მომხიბვლელი მელოდიურობით განირჩევიან. სარეცენზიო სპექტაკლისათვისაც კომპოზიტორმა საინტერესო მუსიკა შექმნა. ყურადღებას იპყრობს ცალკეული ნომრები — პირველი საგუნდო სიმღერა „ახალი თბილისი“, დარეჯანისა და ნუგზარის ლამაზი დუეტი, დარეჯანის სიმღერა „არ ვიცოდი, მყვარებიხარ ძალიან“, ოთარისა და ლამარას პირველი დუეტი, ფინალური საგუნდო სიმღერა „თბილისი“. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, ისიც, რომ მუსიკა ამ სპექტაკლში უფრო საილუსტრაციო და საესტრადო ხასიათისაა და მოქმედებასთან ნაკლებად არის დაკავშირებული, რაც ნაკლს წარმოადგენს მუსიკალური კომედიისათვის.

სპექტაკლის დამდგმელს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დ. ძნელაძეს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართული მუსიკალური კომედიის შექმნისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ სპექტაკლის დადგმის დროსაც მან გამოამჟღავნა დაკვირვებული მუშაობის უნარი, ალღო და გემოვნება. აღსანიშნავია მხიარული და ლაღი სულისკვეთება, რაც მთელ სპექტაკლს ახასიათებს, აგრეთვე შემსრულებელთა მტკიცე ანსამბლურობა.

სპექტაკლში ახალგაზრდა ექიმის დარეჯან ირემაძის როლს ასრულებს მსახიობი თამარ ბერძენიშვილი. შინაგანი უშუალობით, სადად და მსუბუქად ახორციელებს მსახიობი ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტის კეთილშობილურ სახეს, რასაც ხელს უწყობს მისი კარგი ვოკალური მონაცემებიც.

ინჟინერ ნუგზარ დარბაისელის როლს საკმაო წარმატებით ასახიერებს დ. ესებუა. მისი ნუგზარი ახალი ქვეყნის აქტიური მშენებელია, თავდადებული პატრიოტი.

პროფესორ ქორელის სახე დრამატურგის მიერ საკმაო სიძლიერით არის მოხაზული. პროფესორი ქორელი საბჭოთა მეცნიერების ძველი თაობის საუკეთესო წარმომადგენელია, ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტების შთაგონებული აღმზრდელი და მასწავლებელი. სამწუხაროდ, ვერც რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ბ. ჩეჩელაშვილს, ვერც სპექტაკლის დამდგმელს ვერ მოუნახავთ საჭირო საშუალებანი ამ სახის სრულყოფილად წარმოსახვისათვის. ჩეჩელაშვილის ქორელი ზედმეტად მიამიტი და ახირებული მოხუცია, რაც მის სათნო და აზრიან სახეს ჩრდილავს.

ძალდაუტანებელი ჰუმორით ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. მოსეშვილი ოთარ ჩიტიას კომიკურ როლს. ქარაფშუტა, მაგრამ კეთილი მოპოეტო იუმორისტი სპექტაკლის საერთო ხალისიან განწყობილებას უწყობს ხელს.

ახალგაზრდა მოხეევ ქალის ლამარა აფციაურის როლის ორივე შემსრულებელი—ნ. თულაშვილი და თ. კობახიძე მოწოდების სიმაღლეზე დგანან. თუმცა ეს სახე ავტორის მიერ ზედმეტად პათეტიურ ტონშია მოცემული. ვიღასათვის არის ჩვენში გასაკვირი, რომ მოხეევ ქალი მოწინავე საბჭოთა სპეციალისტია. ამ ფაქტის ხაზგასმა ზედმეტად მიგვაჩნია.

ტრადიციული სახასიათო წყვილი თამარი და მანასე (ე. ჩოხელი და ვ. გერსამია) ოსტატურად და თავისუფლად ფლობენ თავიანთ როლებს. აღსანიშნავი არიან მსახიობები ი. ბაკაკური (მზარეული), გ. ჭუმბურიძე (მილიციელი), ი. პაპაშვილი (გივი).

დამაკმაყოფილებელია კ. კვალიაშვილის მხატვრული გაფორმება და დირიჟორ პ. დიასამიძის ნამუშევარი.

სპექტაკლით „თბილისის ცის ქვეშ“ როგორც თეატრმა, ისე დრამატურგმა დაამტკიცეს, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ წარმატებით განაგრძონ მუშაობა ქართული საბჭოთა მუსიკალური კომედიის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

ლ. ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ

„ᲓᲘᲐᲓᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ხალხთა ბელადის ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის ლენინის ორდენოსანმა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მოამზადა და მაყურებელს უჩვენებს ბ. პავლენკოს და ბ. ჭიაურელის ეპოპეას „დიადი მომავლისათვის“.

სპექტაკლი დადგა სტალინური პრემიის ლაურეატმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ჯაკა ვასაძემ. მხატვრობა ეკუთვნის ფ. ლაპაიშვილს, მუსიკა — ა. მაჭავარიანს.

სპექტაკლში სტალინის როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. საღარაძე, მოლოტოვის როლს — რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჟავია. სხვა როლებს ასრულებენ — ალექსეი ივანოვის — თ. ტატიშვილი, ეკატერინა სერგეევნას — რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე, ნატაშას— თ. თეთრაძე, ერმოლოვის (ძველი მუშა) — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. ხუციშვილი, გიორგის—ვ. დოლიძე და სხვ.

პრემიერა შედგება 20 და 21 დეკემბერს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ



ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ქართველი პოეტების ლექსების კრებული — „დიდ სტალინს“.

კრებულში შესულია გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, სანდრო შანშიაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, გრიგოლ აბაშიძის, ირაკლი აბაშიძის, იოსებ გრიშაშვილის, კარლო კალაძის, ილო მოსაშვილის, ვიქტორ გაბისკირიას, იოსებ ნონეშვილის, რევაზ მარგიანის, ალექსანდრე გომიაშვილის, სიკო ფაშალიშვილის, ალიო მირცხულავას, გიორგი შატბერაშვილის, ალეკო შენგელიას, გიორგი კაჭახიძის, რაჟდენ გვეტაძის, შალვა აფხაიძის, დავით გაჩეჩილაძის, ალექსანდრე ქუთათელის და სხვათა ლექსები.

წიგნის რედაქტორები არიან გიორგი ჯიბლაძე, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე გომიაშვილი და რაჟდენ გვეტაძე. კრებული გამოცემულია ლამაზად და ღირს 10 მანეთი.

* * *

სახელგამმა დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის გამოსცა კრებული „სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში“. წიგნში შესულია 156 ხალხური ლექსი, რომლებშიც ასახულია ხალხის უსაზღვრო სიყვარული თავისი ბელადისა და მასწავლებლისადმი.

კრებულის შემდგენელია მ. ჩიქოვანი, რედაქტორი გ. ჯიბლაძე, გაფორმებულია მხატვრების ვლ. ქუთათელაძისა და გ. ნადირაძის მიერ. წიგნი ლამაზად არის გამოცემული და ღირს 12 მანეთი.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

20-21 დეკემბერს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შედგება ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

20 დეკემბერს წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებანი: „ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი“ (მომხსენებელი ა. კიკვიძე), „ი. ბ. სტალინი 1905 წლის რევოლუციის ხასიათისა და მამოძრავებელი ძალების შესახებ“ (მომხსენებელი ი. მირცხულავა), „მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის დამუშავება და განვითარება ი. ბ. სტალინის მიერ“ (მომხსენებელი ა. ქუთელია), „სტალინური საგარეო პოლიტიკა სამამულო ომის წლებში“ (მომხსენებელი დ. ზავრიევი).

21 დეკემბერს წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებანი: „ი. ბ. სტალინის ბრძოლა რსდმპ V ყრილობის მოწვევისათვის“ (მომხსენებელი ს. ბერიძე), „ი. ბ. სტალინი—ბოლშევიკური პრესის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი 1900-1910 წლებში“ (მომხსენებელი ზ. გეგეშიძე), „ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი ქართულ ენაზე“ (მომხსენებელი დ. ლაშქარაძე).

სესია შედგება ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი № 29); 20 დეკემბერს სესია დაიწყება საღამოს 7 საათზე, ხოლო 21 დეკემბერს—დილის 11 საათზე.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲯᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ, ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ

დღეს, დღის 1 საათზე, საქართველოს მხატვართა გალერიაში იხსნება ქართველ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა, მიძღვნილი დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი.

გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და კერამიკის 198 ნიმუში.

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲨᲘ

19 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება დოცენტ **ნ. მახარაძის** ლექცია თემაზე: **„ი. ბ. სტალინი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი“.**

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ: **ოპერისა და ბალეტის** — „მზია“ (დილით), „დაისი“ (საღამოს, მე-3 ამ. მეხუთე სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის** — „ჩაძირული ქვები“ (დილით და საღამოს, მე-15 სერიის მესამე სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ძველი სახლი“ (დილით და საღამოს).

„ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ“ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა „ვერაგობა და სიყვარული“.

სპექტაკლი დადგეს ს. ოყრეშიძემ და ვ. ქუთათელაძემ, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა კ. მელვინეთუხუცესმა, მხატვრულად გაფორმა — ა. ბრანოვერმა.

ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

გაზეთ „კომუნისტის“ 16 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი“ პირველი თავის პირველი აბზაცის ბოლო უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „რუსეთი გახდა პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის სამშობლო, ლენინიზმის — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმის სამშობლო, ხოლო რუსი კოშუნისტების ბელადი ლენინი — მისი შემოქმედი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის და მინერალოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს პალეონტოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ განცხადება, შემდეგი საბუთებით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, საბუთი სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის დირექტორში — ქ. თბილისი, მარის ქ. № 1.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1949 წლის 27 დეკემბერს, დღის 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) **გერცელ აბრამის-ძე ჩაჩავილი** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „შატილის საფეხნო“.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. **ა. შანიძე,** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **რ. ხარაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

მაქსიმე და ვასო ბალავაძეები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ბერიას რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

ლ. გოგუა, შ. იოსავა, ნ. ცხოვრებაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

ბაბული და მამია მეგრელიშვილები თანაგრძნობას უცხადებენ გ. ნ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

თამარ და ვასო სიხარულიძეები თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

შ. ჭალაგანიძე, ნ. ფეტელავა, ა. ჯაველიძე, კ. ხეჩინაშვილი, მ. კუკულაძე, დ. სტურუა, ე. კვირკველია, ბ. ჩანტლაძე, ე. მელაძე, გ. გურგენიძე, ე. ზარაჯიანი, თ. ჭოხონელიძე, ო. სტურუა, დ. გოგორიშვილი, კ. ესვანჯია იუწყებიან **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას.

ნელი, გოგი ქობულიები, თამარ, გიორგი ახვლედიანები იუწყებიან **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას.

მ. მეგრელიშვილი, ზ. კვაჭაძე, შ. ბერიანიძე, ო. ქინქლაძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ნ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

შურა და გრიშა ზამბახიძეები შვილებით იუწყებიან **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის თანამშრომლები ვ. კობახიძე, პ. კორახაშვილი, ი. მირიანაშვილი, გ. ბოჭორიშვილი, ვ. გიორგობიანი, ლ. გიგიტაშვილი, ა. ნამიჩეიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის დირექცია, პარტიული ორგანიზაცია და პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

აბასთუმნის კურორტთა სამმართველოს ადმინისტრაცია, პარტორგანიზაცია, ადგილკომი და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან სამმართველოს თანამშრომლის **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას.

არტელ „პირველი მაისის“ მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ მ. ზიმბლიეკის მისი ცოლისძმის **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას.

ა. გაბისონია, ვ. ბოკერია, დ. კანდელაკი, ე. ყურაშვილი, ა. კონტრიძე, გ. გაჩეჩილაძე, ვ. იაკობაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

მარგო და გიორგი ნიშნანიძეები თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

თამარ და მიხეილ ლელაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

ზინა და გრიშა ნარსიები შვილებით თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

შ. ჭანუყვაძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

აბასთუმნის ბავშვთა სანატორიუმის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სანატორიუმის თანამშრომლის **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას.

კატუშა და ალიოშა ფარულავები თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

ვ. ა. ხატიაშვილი, ა. თ. კვაჭაძე, ა. გ. ქურდიანი, შ. ვ. აბაიშვილი, ვ. ე. სალაძე, ლ. ბ. რუხაძე, ბ. ვ. გოგუა, ი. ი. ლეკიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

თ. სხირტლაძე, ა. ღლონტი, ნ. პროსტოსერდოვი, პ. კორთხონჯია, ვ. პაიჭაძე, ა. წულეისკირი, ა. რიფამაძე, ა. ნიკოლაიშვილი, ვ. ქუჩუკაშვილი, ქ. ქაჯაია, ქ. სტურუა, გ. ლომიძე, ა. გვანცელაძე იუწყებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის ყოფილი თანამშრომლის **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ელენე, შვილი ეთერ მეიშვილები იუწყებიან **ვასილ ივანეს-ძე მეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-XII, 7 ს., გამოსვენება 20-XII, 4 ს., ტრამვაის, 13.

ნ. სტურუა, ვ. პანიევი, მ. იავრიანი, ბ. ჩიკვაიძე, გ. ნიკოლაიშვილი, ი. ხვედელიანი, ა. ჭანტურია, ა. ინჯაფარიძე, ქ. ჭანიშვილი, შ. ტიტვინიძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

კლავდიოს ტყემალაძე და სოსო ასლანიშვილი იუწ